განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტურიზმი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
3 აგვისტო, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი
27 აგვისტო, 2018

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი 020301
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ზარნაძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ასლან მახაძე, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ ქოიავა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ბურჯანაძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტურიზმის აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაციით „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი" ხორციელდება ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრაზე 2013 წლიდან დღემდე. 2016 წლიდან კათედრას ჰყავს ახალი ხელმძღვანელი.

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (65 კრედიტი), სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (15 კრედიტი), პროფესიული პრაქტიკა (10 კრედიტი), კვლევითი ნაშრომი (10 კრედიტი), სამაგისტრო ნაშრომი (10 კრედიტი).

პროგრამის განხორციელებას ემსახურება 61 ადმინისტრაციული და დამხამრე ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც სტუდენტს ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში.

პროგრამაში ჩართულია: 3 აფილირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 7 აფილირებული ასისტენტ პროფესორი. მოწვეული პერსონალი - 8 ადამიანი. პროგრამაში სულ ჩართულია 22 ადამიანი.

ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხულია: 2013 წ. - 41 სტუდენტი, 2014 წ. 32 სტუდენტი, 2015 წ. 23 სტუდენტი, 2016 წ. 11 და 2017 წელს 20 სტუდენტი. ამავდროულად, აღნიშნული პროგრამას ყავს 55 კურსდამთავრებული.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმობილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 3 აგვისტოს. ვიზიტამდე, 2 აგვისტოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი და მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას, ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

3 აგვისტოს აღნიშნულ დაწესებულებაში 10.00 სთ-ზე დაიწყო სააკრედიტაციო ვიზიტი. ვიზიტი მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აფილირებულ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან. განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები,

კაბინეტები და ა.შ). სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების მესამე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, პირველი და მეხუთე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მეორე და მეოთხე სტანდარტიის მიხედვით ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამის ძლიერ მხარეებს უნდა მივაკუთვნოთ: ახალი ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული ცვლილებები პროგრამაში, პროგრამაზე მზარდი მოთხოვნა სტუდენტების მხრიდან. ასევე უნდა აღინიშნოს ადმინისტრაციის მზაობა პროგრამის მდგრადი განვითარებისთვის. პროგრამის სუსტი მხარეა პროგრამის სტრუქტურა, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, არის აშკარად კონკურენტული და მისი შემდგომი განვითარება შესაძლებელია.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდირებულია პროგრამაში გაწერილი მიზნები ჩამოყალიბდეს მკაფიოდ. პროგრამის მიზნები ზოგადი ხასიათის იყოს, ხოლო მიზნების დეტალიზაცია აისახოს სასწავლო კურსის მიზნების აღწერაში.
2. რეკომენდირებულია პროგრამის შედეგების რაოდენობის შემცირება და მკაფიოდ ჩამოყალიბება.
3. რეკომენდირებულია სამაგისტრო პროგრამის შედეგების და სასწავლო კურსების შედეგების კავშირის კორექტირება.
4. რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად გაიწეროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.
5. რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მენეჯმენტის საფუძვლებში პრეტესტის დამატება ან საერთო სამაგისტრო B ტიპის გამოცდის მითითება.
6. რეკომენდირებულია სამაგისტრო პროგრამაში აკადემიური წერის სასწავლო კურსის დამატება.
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის - კვლევითი ნაშრომის წინაპირობის გადახედვა. საგანზე წინაპირობების გაწერა გახდის სამიგისტრო პროგრამას უფრო თანმიმდევრულს და ლოგიკურს. სასწავლო კურსისათვის უმჯობესია განისაზღვროს კვლევის მეთოდები.
8. რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსისათვის კრედიტების მინიჭების წესი.
9. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლების მეთოდების გადახედვა და გამდიდრება მეტი პრაქტიკული აქტივობებით, გასვლითი ღონისძიებებით, ექსპედიციებით და საერთაშორისო გაწვლითი პროექტებში ჩართულობით.

10. ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის ამაღლება B2 დონემდე.
11. რეკომენდირებულია წიგნად ფონდში არსებული ლიტერატურის რაოდენობრივი ზრდა.
12. რეკომენდირებულია ანტიპლაგეატის პროგრამის შეძენა.
13. რეკომენდირებულია ინფრასტრუქტურის განახლება-გაუმჯობესებას.
14. რეკომენდირებულია განისაზღვროს სამაგისტრო პროგრამა ტურიზმი-ს ბიუჯეტი, სადაც გაწერილი იქნება კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, ექსპედიციებისა და პრაქტიკის, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების და სამეცნიერო სესიების ხარჯები.
15. რეკომენდირებულია კომუნიკაციის გაღრმავება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
16. გარე ხარისხის შეფასების შედეგების გათვალისწინება პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია სწავლის შედეგების გაწერა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, რათა შდეგები გახდეს მეტად კონკრეტული და გაზომვადი.
2. სასურველია სასწავლო კურსების გაერთიანება და გამოთავისუფლებული კრედიტების მინიჭება სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციის შესაბამისი საგნებისთვის. მაგალითად: სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში, ადამიანური რესურსები ტურიზმში, საერთაშორისო და გლობალური ტურიზმი.
3. სასურველია საგანმანათლებლო პროცესში პრაქტიკოსი პედაგოგების მეტი ჩართულობა, რაც გაამდიდრებს პროგრამას და ხელს შეუწყობს სტუდენტებს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების უკეთ დაუფლებას.
4. ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, სასურველია თსუ-ს მკვლევარები და პერსონალი მონაწილეობას იღებდნენ გაცვლით პროგრამებში.
5. პროგრამაში არსებული განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაზრდა და აკადემიურ თანამდებობაზე აყვანის კრიტერიუმად ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნა. ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდოთ დარგში არსებული მოწინავე ტენდენციების, სიახლეების, მსოფლიოში განხორციელებული კვლევების შედეგების შესახებ.
6. სასურველი განახლდეს და დაიხვეწოს უნივერსიტეთში არსებული ციფრული ბიბლიოთეკა.
7. სასურველია უნივერსიტეტმა პერიოდულად განახორციელოს პროგრამის მონიტორინგი გარე ხარისხის შეფასების მეშვეობით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს სამაგისტრო პროტრამის მიზანი არის „...მაგისტრის ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შესაბამისი ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნით, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პრაქტიკული უნარ-ჩვევებით და კომპეტენციებით, რომლებიც პასუხობენ ამ სფეროში მენეჯერის, ცალკეული მიმართულებებისა და პროექტების ხელმძღვანელის, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტისა და ექსპერტის პოზიციებზე დასაქმების მოთხოვნებს. სამაგისტრო პროგრამაში ასახული მიზნები არის ზედმეტად დეტალიზირებული. მაგალითად: „...მაგისტრის ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ტურიზმის, როგორც ქვეყნის წამყვანი სოციალურ-ეკონომიკური დარგის, ისე მრავალპროფილიანი ბიზნესის სფეროსათვის, შესაბამისი ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნით, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პრაქტიკული უნარ-ჩვევებით და კომპეტენციებით, რომლებიც პასუხობენ ამ სფეროში მენეჯერის, ცალკეული მიმართულებებისა და პროექტების ხელმძღვანელის, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტისა და ექსპერტის პოზიციებზე დასაქმების მოთხოვნებს". მიუხედავად ამისა, მიზნებში ნათლად არ არის ასახული პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები. თუმცა თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზანში მითითებულია შემდეგი: „...სტრატეგიული მიზანი VI - საგანმანათლებლო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია...".
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი
- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამაში გაწერილი მიზნები ჩამოყალიბდეს მკაფიოდ. პროგრამის მიზნები ზოგადი ხასიათის იყოს, ხოლო მიზნების დეტალიზაცია აისახოს სასწავლო კურსის მიზნების აღწერაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მეორე საფეხურის აღმწერის მიხედვით. შედეგები დაჯგუფებულია ძირითადი კომპეტენციების მიხედვით. აღწერილი შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. აღნიშნულ პროგრამას გააჩნია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. ამასთანავე, პროგრამას გააჩნია 20 სწავლის შედეგი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში ბუნდოვანია სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების ბმა სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან. მაგალითად: შედეგი 1.2 „...რაც საშუალებას მისცემს მას [სტუდენტს] შეიმუშავოს ორიგინალური იდეები..." დაკავშირებულია შედეგების რუკაში შემდეგ კურსებთან: მომსახურების მენეჯმენტი, ტურიზმის პოლიტიკა, კვლევის მეთოდები ტურიზმში, ტურიზმის მდგრადი განვითარება, საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი, ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიები, კვლევითი ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომი, გასტრონომიული ტურიზმის სასწავლო კურსი, ინვესტირება სასტუმრო ინდუსტრიაში, საკურორტო ტურიზმი, ინგლისური ენა B1.2, ინგლისური ენა B2.1. თუმცა, აღნიშნულ კურსებში როგორ იზომება ორიგინალური იდეები ბუნდოვანია.

შედეგი 2.1. ბუნდოვანია და ასევე არ არის გაზომვადი; კერძოდ ბუნდოვანია, „...განხორციელება, მ.შ. საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებით ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობაში, მონაცემთა დაცვის საშუალებების ფორმირებით სისტემის უსაფრთხოებისათვის, პერსონალური პასუხისმგებლობის აღებით, ინიციატივის გამომჟღავნებით, კადრების სწორი შერჩევით, „იმიჯის" მართვით და წამოჭრილი კომპლექსური საკითხების შემოქმედებითი მოგვარებით, შეეძლება ბიზნეს პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემასთან (ERP) პრაქტიკული მუშაობა..." კადრების სწორი შერჩევა, „იმიჯის" მართვა და წამოჭრილი კომპლექსური საკითხების შემოქმედებითი მოგვარება როგორ უნდა შეძლოს სტუდენტმა ბუნდოვანია.

შედეგი 4.3. „შეუძლია ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება მარკეტინგის ზოგად კონცეფციებთან და ტურიზმის ინდუსტრიის თანამედროვე განვითარების ტენდენციებთან, მათი განხილვა საქართველოსთან მიმართებაში და შეძენილი ცოდნის პროფესიული კომუნიკაცია დარგის სპეციალისტებთან და დაინტერესებულ საზოგადოებასთან" არის კურსის შედეგი და არა პროგრამის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის შედეგების რაოდენობის შემცირება და მკაფიოდ ჩამოყალიბება.
2. რეკომენდირებულია სამაგისტრო პროგრამის შედეგების და სასწავლო კურსების შედეგების კავშირის კორექტირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია სწავლის შედეგების გაწერა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, რათა შდეგები გახდეს მეტად კონკრეტული და გაზომვადი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს სამაგისტრო პროგრამაზე ტურიზმი განსაზღრული აქვს დაშვების შესაბამისი გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. კერძოდ, აღნიშნული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს:

• არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;
• პირი, რომელიც აკმაყოფილებს საერთო სამაგისტრო და ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის მიერ განსაზღვრული გამოცდის პირობებს სპეციალობაში - შესავალი ტურიზმში;
• პირი, რომელიც აკმაყოფილებს ინგლისური ენის ცოდნას B1 დონეზე, ან გააჩნია ამ ცოდნის დამადასტურებელი საბუთი.
• პირი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებს;

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით სავალდებულო ლიტერატურაში გათვალისინებულია როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი ლიტერატურა. ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამუშავება-ათვისებისთის ინგლისური ენის ცოდნის B1 დონე არ არის საკმარისი.

პროგრმით გათვალისწინებული სავალდებული კურსები (მომსახურების მენეჯმენტი, მერკეტინგის მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში) მოითხოვს ბიზნესის ადმინისტრირებაში საბაზისო ცოდნის ფლობას. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ფლობს ბიზნესის ადმინისტრირებაში კომპეტენციას - არის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, მისთვის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების დაძლევა უფრო მარტივია ვიდრე იმ სტუდენტთათვის, რომლებიც არ ფლობენ ბიზნესის ადმინისტრირების საბაზო კომპეტენციებს (ხელოვნებათმცოდნეები, ექიმები, ინჟინრები და ა.შ.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად გაიწეროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

2. რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მენეჯმენტის საფუძვლებში პრეტესტის დამატება ან საერთო სამაგისტრო B ტიპის გამოცდის მითითება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი" შედგენილია მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ხელს უწყობს სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები გახადა პროგრამის სტრუქტურა მეტად ლოგიკური და სწავლის შედეგები მიღწევადი. სამაგისტრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ითვალისწინებს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს. თავისუფალი კომპონენტი პროგრამაში გათვალისწინებული არ არის. სასწავლო პროგრამა - 120, მ.შ. სავალდებულო 65 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი კურსები – 15 კრედიტი, კვლევითი ნაშრომი – 10 კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა – 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი – 20 კრედიტი. სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია ახალი კვლევის შედეგები და თანამედროვე მიღწევები.

სავალდებულო კურსებში ასახულია მენეჯმენტის, ტურიზმის მენეჯმენტის და მასპინძლობის აქტუალური საკითხები: მომსახურების მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი, ტურიზმის პოლიტიკა და სხვა.

არჩევითი კურსები შედგენილია ქვეყანაში ტურიზმის განვითარების აქტუალური და პერპსექტიული მიმართულებების გათვალისწინებით: კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი, ღონისძიებათა ტურიზმი და ინვესტირება სასტუმრო ინდუსტრიაში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში გვხვდება საბაკალავრო საფეხურის საგნები: მარკეტინგის მენეჯმენტი, ლიდერული უნარ-ჩვევები.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში არ არის საგანი -აკადემიური წერა, რომელიც სტუდენტს აძლევს კვლევითი ნაშრომის წერისთვის საჭირო ცოდნას და კომპეტენციას. მონათესავე საგნების სილაბუსებში გაწერილი თემატიკით აკადემიური წერის კომპეტენცია არ მიიღწევა.

რიგ შემთხვევებში სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო კურსების წინაპიროებების საკითხი გადასახედია. მაგ. სალექციო კურსი *კვლევითი ნაშრომი* და *კვლევის მეთოდები ტურიზმში* ისწავლება ერთი და იგივე სემესტრში (პროგრამის მეორე სემესტრში). თუმცა, კვლევის მეთოდების გარეშე კვლევითი ნაშრომის წერის კომპეტნეციას როგორ ფლობს სტუდენტი ბუნდოვანია.

ამავე დროს აღსაღნიშნავია, რომ სხვადასხვა სასწავლო კურსების თემატიკა გაერთინების საშუალებას იძლევა. მაგ., სასწავლო კურსები - ტურიზმის პოლიტიკა და ტურიზმის მდგრადი განვითარება; ასევე ტურიზმის ბიზნესის დაგეგმვა და მენეჯმენტი და პროექტის მენეჯმენტი ტურიზმში. ზემოაღნიშნული საგნების გაერთიანება (ჯამში 20 კრედიტი) იძლევა საშუალებას გამოთავისუფლებული კრედიტების სხვა მნიშვნელოვანი საგნებით ათვისებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სამაგისტრო პროგრამაში აკადემიური წერის სასწავლო კურსის დამატება.
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის - კვლევითი ნაშრომის წინაპირობის გადახედვა. საგანზე წინაპირობების გაწერა გახდის სამიგისტრო პროგრამას უფრო თანმიმდევრულს და ლოგიკურს. სასწავლო კურსისათვის უმჯობესია განისაზღვროს კვლევის მეთოდები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია სასწავლო კურსების გაერთიანება და გამოთავისუფლებული კრედიტების მინიჭება სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციის შესაბამისი საგნებისთვის. მაგალითად: სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში, ადამიანური რესურსები ტურიზმში, საერთაშორისო და გლობალური ტურიზმი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემ **თხვევაში):**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა ტურიზმი შედგენილია დარგში არსებული აქტუალური საკითხების გათვალისწინებით. სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის შინაარსით შესაძლებელია ამავე კურსის სწავლის შედეგების მიღწევა. თუმცა, კრედიტების რაოდენობა ყველა სასწავლო კურსისთვის 5 კრედიტს შეადგენს.

ამასთან სასწავლო კურსების შინაარსის მოცულობა და კომპლექსურობა განსხვავდება ერთმანეთისგან. ამგვარად, კრედიტების რეოდენობის შესაბამისობა შინაარსთან არ არის ცხადი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • ინტერვიუ სტუდენტებთან
რეკომენდაციები: 1 რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსისათვის კრედიტების მინიჭების წესი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა ტურიზმი ითვალისწინებს სასემინარო, კვლევით სამუშაოებს, პროფესიულ პრაქტიკას და კვლევით პროექტებში ჩართვას, რაც უზრუნველყობს პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას 10 კრედიტის მოცულობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ცალკეული სასწავლო კურსი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამის განმახორციელებლები აცნობიერებენ პრაქტიკული კომპონენტის აქტუალურობას შედეგების მიღწევაში და ორიენტირებულნი არიან პრაქტიკის კომპონენტის კიდევ უფრო გაძლიერებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • ინტერვიუ სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება ვერბალური, წიგნზე მუშაობის, შემთხვევის ანალიზის, დემონსტრირების, გონებრივი იერიშის და სხვა მეთოდები. აღნიშნული მეთოდიკა და მეთოდოლოგია გაწერილია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული საწავლო კურსის მიზნებსა და შინაარს, ასევე, სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სასწავლო მეთოდების აღწერილობაში გამოყენებულია თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება. ამავდროულად, გაურკვეველია რომელ სილაბუსებში გამოიყნება აღნიშნული სწავლის მეთოდი. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთამ გასაუბრების დროს გამოირკვა, რომ მათთვის სასურველია ვერბალური სწავლის მეთოდების შემცირება. ისინი გამოთქვამენ სურვილს პროგრამა გამდიდრდეს მეტი პრაქტიკული აქტივობებით, გასვლითი ღონისძიებებით, ექსპედიციებით და საერთაშორისო გაწვლითი პროექტებში ჩართულობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • ინტერვიუ სტუდენტებთან
რეკომენდაციები: 1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლების მეთოდების გადახედვა და გამდიდრება მეტი პრაქტიკული აქტივობებით, გასვლითი ღონისძიებებით, ექსპედიციებით და საერთაშორისო გაწვლითი პროექტებში ჩართულობით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში გაწერილია შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხებს. თსუ-ს აქვს სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა. პერიოდულად ხორციელდება სასწავლო კურსების მიხედვით სტუდენტის ცოდნის შეფასების შედეგების ანალიზი და ხდება მათი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა			X	

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

   პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები არიან ინფორმირებულები ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებსა და კვლევებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან • ინტერვიუ სტუდენტებთან • ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან • tsu.ge

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი ან/და თანახელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილება. ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს მაგისტრატურის სტუდენტებთან. ხელმძღვანელი კონსულტაციას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესში ძირითად საკითხებთან დაკავშირებით. სტუდენტს აქვს საშუალება აირჩიოს სამაგისტრო ნაშრომის თემა პროგრამის ხელმღვანელების მიერ შეთავაზებული სიისაგან ან თავად შესთავაზონ საკვლევი თემის სახელწოდება. ასევე, სტუდენტს ეძლევა საშუალება თავად აირჩიოს სამაგისტრო ნამუშევრის ხელმძღვანელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სილაბუსები • სამაგისტრო ნაშრომები • თვითშეფასების ანგარიში

• საგანმანათლებლო პროგრამა • ინტერვიუ სტუდენტებთან • ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	X			

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამას ემსახურება 61 ადმინისტრაციული და დამხამრე ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც სტუდენტს ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში. პროგრამაში ჩართულია: 3 აფილირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 7 აფილირებული ასისტენტ პროფესორი. მოწვეული პერსონალი - 8 ადამიანი. პროგრამაში სულ ჩართულია 22 ადამიანი. პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე პირის მიმართ ძირითადი მოთხოვნები შემდეგია: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება (პროფესორის თანამდებობაზე -6 წელი, ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე - 3 წელი). ყურადღება ექცევა მიმართულების შესაბამის პედაგოგიური, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილებას, მოხსენების საერთაშორისო სამეცნიერო და ადგილობრივ კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, წარადგინოს სამეცნიერო კვლევების კონცეფცია, სამოტივაციო წერილი და ა.შ. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია უსდ-ის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით. პროგრამის განმახორციელებელი პირების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის წარმართვას და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. ვიზიტის შედეგად ვლინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეტანილმა ცვლილებებმა დადებითი გავლენა მოახდინა პროგრამის განვითარებაზე, კერძოდ ინგლისური ენის კომპონენტის შემოტანა პროგრამაზე დასწრების წინაპირობად და ასევე ინგლისური ლიტერატურის ჩართვა სასწავლო კერსებში.

პროგრამის სტუდენტების უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილია ინგლისურენოვანი ლიტერატურა. ამავდროულად, პროგრამა მიზნად ისახავს ინტერნაციონალიზაციას და ამისათვის მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის (B2) დონის ცოდნა, რაც არ დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- CV

რეკომენდაციები:

1. ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის ამაღლება B2 დონემდე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია საგანმანათლებლო პროცესში პრაქტიკოსი პედაგოგების მეტი ჩართულობა, რაც გაამდიდრებს პროგრამას და ხელს შეუწყობს სტუდენტებს

შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების უკეთ დაუფლებას. 2. ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, სასურველია თსუ-ს მკვლევარები და პერსონალი მონაწილეობას იღებდნენ გაცვლით პროგრამებში. 3. პროგრამაში არსებული განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაზრდა და აკადემიურ თანამდებობაზე აყვანის კრიტერიუმად ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნა. ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდოთ დარგში არსებული მოწინავე ტენდენციების, სიახლეების, მსოფლიოში განხორციელებული კვლევების შედეგების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. თსუ-ს ადმინისტრაცია ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეულიპერსონალის

პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უცყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება და ანალიზი ტარდება სისტემატიურად. თსუ-ს მკვლევარები და პერსონალი მონაწილეობას იღებენ კონფერენციებსა და საგრანტო კონკურსებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • დანართი 12 • ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან • ინტერვიუ მოწვეულ პედსონალთან • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან • tsu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ნაწილობრივ უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, ინფრასტრუქტურა მოძველებულია და საჭიროებს განახლება-გაუმჯობესებას. სასწავლო პროგრამას გააჩნია საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას და სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალებს. პროგრამაში ჩართული პერსონალის მოთხოვნის შესაბამისად ხდება წიგნადი ფონდის პერიოდული განახლება. ვიზიტის შედეგად დასტურდება კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობრივი შესაბამისობა პროგრამაში გაწერილ სწავლის შედეგებთან. კომპიუტერები უზრუნველყოფილია სალექციო კურსების მოთხოვნების შესაბამისი პროგრამებით (მაგ.: SPSS, APEX). ციფრულ ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნები მწირი რაოდენობისაა. თუმცა, ტურიზმის პროგრამისათვის სავალდებულო და საჭირო ლიტერატურა განთავსებულია ე.წ. სამკითხველო დარბაზში. სტუდენტს არ გააჩნია დარბაზიდან წიგნის გატანის საშუალება, რისი მიზეზიც არის პროგრამით გათვალისწინებული წიგნადი ფონდის სიმწირე. სამკითხველო დარბაზში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოთხოვნილი ლიტერატურის მოძიება ვერ მოხედხრდა. ვიზიტის დროს გამოირკვა, რომ პროგრამა არ არის უზრუნველყოფილი ანტიპლაგეტის პროგრამით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუ სტუდენტებთან • საბიბლიოთეკო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
რეკომენდაციები: 1. რეკომენდირებულია წიგნად ფონდში არსებული ლიტერატურის რაოდენობრივი ზრდა. 2. რეკომენდირებულია ანტიპლაგეატის პროგრამის შეძენა. 3. რეკომენდირებულია ინფრასტრუქტურის განახლება-გაუმჯობესებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველი განახლდეს და დაიხვეწოს უნივერსიტეთში არსებული ციფრული ბიბლიოთეკა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის პროგრამის ავტონომიური ბიუჯეტი არ არსებობს, რაც პრობლემატურს ხდის პროგრამის მდგრადობის გაანგარიშება-ანალიზს. ვიზიტის მსვლელობისას წარმოადგენილი იყო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. მასში აღწერილია ფაკულტეტის საბიუჯეტო ხარჯები, რომელიც შეადგენს 5944289 მლნ.ლარს. თუმცა არ არის წარმოდგენილი პროგრამისთვის გამოყოფილი რესურსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტი • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან • ინტერვიუ სტუდენტებთან
რეკომენდაციები: 1. რეკომენდირებულია განისაზღვროს სამაგისტრო პროგრამა ტურიზმი-ს ბიუჯეტი, სადაც გაწერილი იქნება კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, ექსპედიციებისა და პრაქტიკის, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების და სამეცნიერო სესიების ხარჯები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა			X	

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს მონაწილეობა აქვს მიღებული თვითშეფასების ანგარიშის შემუშავებაში. შიდა ხარისხის სამსახურთან ერთად ისინი ზრუნავენ პროგრამის ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე და პროგრამის სრულყოფაზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შემუშავებაში პირდაპირ არ არიან ჩართულები სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დახმარებით პროგრამის სტრუქტურაში მოხდა ცვლილებები, კერძოდ: შემოტანილი იქნა ახალი სასწავლო კურსები, პროგრამის წინაპირობად დაწესდა ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა, ასევე განახლდა კურსებში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან • ინტერვიუ მოწვეულ პედსონალთან • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან • საუნივერსიტეტო LMS- ბაზა
რეკომენდაციები: 1. რეკომენდირებულია კომუნიკაციის გაღრმავება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩართული პერსონალი მზადაა გამოიყენოს გარე ხარისხის შეფასების შედეგები და გაითვალისწინოს მოცემული რეკომენდაციები. თუმცა 2013 წელს აკრედიტაციის ეპსერტების მიერ წარმოდგენილი რჩევები და რეკომენდაციები:

1.სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდიები ტურიზმში" იყოს წინაპირობა ნაშრომისათვის კვლევითი;

2. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებლის მონაწილეობის გააქტიურების მიზნით, მათთან ურთიოერთთანამშრომლობის მემორანდუმებით განსაზღვრული აქტივობების რეალიზაცია.

3. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის გეგმის შემუშავება

არ იყო გათვალისწინებული სრულად.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის გაუმჯობესებისთვის უნივერსიტეტს არ განუხორციელებია გარე ხარისხის შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- 2013 წლის აკრედიტაციის ეხპერტების დასკვნა
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

1. გარე ხარისხის შეფასების შედეგების გათვალისწინება პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია უნივერსიტეტმა პერიოდულად განახორციელოს პროგრამის მონიტორინგი გარე ხარისხის შეფასების მეშვეობით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთანX X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი უზრუნველყობს პროგრამის მონიტორინგს და პერიოდული შეფასების განხორციელდებას აკადემიური სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პრსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებას და ანალიზს. სამაგისტრო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისათვის სემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა. აღნიშნულის შედეგად ხორციელდება პროფესორ-მასწავლებლების შეფასება და მონიტორინგი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

• პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების შედეგები • ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან • ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან • ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამისმიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			X	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის